ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2021 – 2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს: პეტრე შარიქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N 27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3. სხვადასხვა:
N 48 ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის მერის რიგგარეშე არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერად კობა ლურსმანაშვილის არჩევის შესახებ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

ოქმი #22

დაბა ხარაგაული **30 ნოემბერი 2020 წელი**

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე- მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, დავით მაღლაფერიძე, ინგა მაღრაძე, მიხეილ ჭიპაშვილი.

სულ 24 წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

პეტრე შარიქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

ვარლამ ჭიპაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

ბესიკ კვირიკაშვილი - ა(ა)ი.პ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ დირექტორი,

ვიტალი იჩქიტიძე - ა(ა)ი.პ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ თანამშრომელი,

გოგიტა ჩიჩილიძე - ა(ა)ი.პ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ დირექტორი.

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თამარ მაღრაძე - ა.(ა)ი.პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომელი,

თეა ბერიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

ლაურა გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი ხარაგაული“-ს მთავარი რედაქტორი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე 24,

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი მიღებულ იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2021 – 2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს: პეტრე შარიქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N 27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3. **სხვადასხვა:**

N 48 ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის მერის რიგგარეშე არჩევნების შემაჯამებელი ოქმის თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერად კობა ლურსმანაშვილის არჩევის შესახებ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2021 – 2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ინგა მაღრაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებს თუ როგორ აპირებენ სამოქმედო გეგმაში ასახული პროექტების განხორციელებას ან

პრიორიტეტების არჩევას იმ ფონზე როცა ძალიან მნიშვნელოვანი პროექტებია გაჩერებული მუნიციპალიტეტში. მანვე განაცხადა, რომ სამოქმედო გეგმა მოცემულია მხოლოდ ცხრილებში და არ არის დაზუსტებული როგორ უნდა განხორციელდეს პროექტები.

დასმულ შეკითხვას უპასუხა ვარლამ ჭიპაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ წარმოდგენილ გეგმაში შეიძლება შევიდეს ცვლილებები, პირველ რიგში განხორციელდება უკვე დაპროექტებული ობიექტები. ხოლო სანამ არ იქნება კონკრეტული დაფინანსება პროექტების განხორციელებას ვერ დაიწყებენ. მისივე განმარტებით მაქსიმალურად ეცადნენ, რომ გეგმაში გათვალისწინებული ყოფილიყო მუნიციპალიტეტში შემავალი ყველა სოფლის ინტერესები. მანვე განაცხადა, რომ აღნიშნულ პროცესში ჩაბმული იქნება მუნიციპალიტეტის მერიის კვალიფიციური თანამშრომლები, რათა მოხდეს პროექტების დროული და ხარისხიანი განხორციელება.

მიხეილ ჭიპაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ 4 წელიწადია ითხოვს ახალსოფლის ცენტრალური გზის რეაბილიტაციას, კერძოდ მობეტონებას, ხოლო აღნიშნული სოფლისთვის გამოყოფილი 150000 ლარი ხსენებული გზის გასაკეთებლად საკმარისი არ არის, თანაც გეგმაშიც არ არის გათვალისწინებული მისი გაკეთება.

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ ეტაპობრივად ყველაფერი გაკეთდება, ამ ეტაპზე ახალსოფლისთვის მეტი თანხის გამოყოფა ვერ მოხერხდა. თანხების გამოყოფისას ჩვენ დავიცავით თანაბრობის პრინციპი, ხოლო აღნიშნული გზის რეაბილიტაცია გათვალისწინებულია პრიორიტეტების დოკუმენტში.

პავლე კიკალიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ იქნებ სამოქმედო გეგმაში ჩაესვათ სოფელ ლაშეში მდებარე საავტომობილო ხიდიდან ყოფილი სასოფლო საბჭოს შენობამდე მისასვლელი დაახლოებით 300-350 მეტრი სიგრძის გზის რეაბილიტაცია.

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ მერთან ერთად განიხილავდა დაყენებულ საკითხს.

ლენა აბაშიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ აუცილებლად უნდა დასრულდეს სოფელ ვერტყვიჭალისა და გედსამანიის გზების რეაბილიტაცია.

ნიკოლოზ მაღრაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სოფელ მარელისიდან ლეღვნის სკოლასთან დამაკავშირებელი დაახლოებით 300-400 მეტრი სიგრძის გზა არის გაუვალი და საჭიროა მისი გაკეთება, რომელიც უნდა მოიხრეშოს, რომ ავტომანქანებმა შეძლოს გადაადგილება.

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ შეისწავლიდა დაყენებულ საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი და კენჭისყრაზე დააყენა 2021 – 2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე - 23,

წინააღმდეგი- 0,

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N 27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

პავლე კიკალიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ იქნებ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს თანხები სოფელ ლაშისთვის ნაგვის ურნების შესაძენად და განსანთავსებლად.

ა(ა)ი.პ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ დირექტორმა ბესიკ კვირიკაშვილმა უპასუხა, რომ ნაგვის ურნების შესაძენად თანხები გათვალისწინებულ იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში.

ინგა მაღრაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა ა(ა)ი.პ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ წარმომადგენლებს თუ რატომ დაჭირდათ შტატების გაზრდა.

ვიტალი იჩქიტიძემ უპასუხა, რომ დაამატეს მხოლოდ დირექტორის მოადგილის შტატი, რომელიც აუცილებელი იყო გაერთიანების უფრო ეფექტური მუშაობისათვის.

ინგა მაღაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა საკითხის მომხსენებელს, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს ეპიდემიის გამო გამოწვეული პრობლემების შესამსუბუქებლად მოქალაქეებზე ერთჯერადი ფულადი დახმარებების გაცემა. მისივე განცხადებით, სოფელ ვერტყვიჭალაში მცხოვრებ მოქალაქეს, სხვადასხვა მძიმე დაავადებების გამო ესაჭიროება ფინანსური დახმარება, ხოლო მისი დაავადებებისათვის ფულადი დახმარების გაწევას მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამა არ ითვალისწინებს.

ვლადიმერ გელაშვილმა უპასუხა, რომ ეპიდემიასთან დაკავშირებით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი ჯერ არ არის დაზუსტებული. ხოლო რაც შეეხება ვერტყვიჭალაში მცხოვრებ მოქალაქეზე დახმარების გაწევას, ამ საკითხზე შეიძლება იმსჯელოს კომისიამ და გამონაკლისის სახით გაცეს დახმარება.

მიხეილ ჭიპაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ბიუჯეტი უნდა იყოს პროგრამული, რომ კვლავ არ დავდგეთ იმ პრობლემების წინაშე რაც ახლა არსებობს, არ შეიძლება ამდენი ცვლილებები ბიუჯეტში. ამასთანავე, ჩვენ უნდა მოვთხოვოთ თითოეულ ა(ა)ი.პ-ს თუ რა რაოდენობის შტატებია საჭირო მათი მუშაობისათვის და დაგვისაბუთონ თითოეულ შტატს რა ფუნქცია აკისრია. მანვე კითხვით მიმართა ა(ა)ი.პ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების წარმომადგენლებს იმის შესახებ, რომ სოფელ ისლარში აღნიშნული ორგანიზაციის მიერ მოჭრილი ხეები იყო თუ არა მუნიციპალიტეტის საკუთრება, რათა მოჭრილი ხეები მიეცათ გაჭირვებული ადამიანებისათვის.

ბესიკ კვირიკაშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული ხეები იყო მუნიციპალიტეტის საკუთრება.

მალხაზ ფხალაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა ა(ა)ი.პ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის წარმომადგენლებს იმის შესახებ, თუ რატომ გახდა საჭირო დამატებით 7000 ლარის მოთხოვნა გარე განათების მოსაწყობად.

ვიტალი იჩქიტიძემ უპასუხა, რომ აღნიშნული თანხის დამატებას ითხოვენ იმის გამო, **რომ** სოფლებში დაემატათ გარე განათების 600 წერტილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი და კენჭისყრაზე დააყენა დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე-24

წინააღმდეგი-0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებულ იქნეს (თან ერთვის)

ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ოთარ ლურსმანაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო N 48 ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიიდან გადმოგზავნილი მერის რიგგარეშე არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერად კობა ლურსმანაშვილის არჩევის შესახებ. საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა და ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერად კობა ლურსმანაშვილის არჩევის თაობაზე საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა ცნობად.

კენჭისყრის შედეგებზე დაკვირვებას ახდენდა საკრებულოს აპარატი.

ამით საკრებულოს დღის წესრიგით განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**